პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 145 (9306)
27 ივლისი, კვირა
1986 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ხვალ ლონდონში იწყება გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანში ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის

ეპოქალური მატჩი

დღეს ლონდონის სასტუმრო „პარკ-ლეინში“ საზეიმოდ გაიხსნება გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის.

ეს შეხვედრა ყველას აინტერესებს. ბოლო სამი წელია კასპაროვსა და კარპოვს შორის დაძაბული ბრძოლაა ჭადრაკის მეფის ტახტისთვის. მათი პირველი მატჩი (6 მოგებამდე), რომელმაც ხუთ თვეს გასტანა (IX. 1984-II. 1985), ფიდე-ს პრეზიდენტმა მაშინ შეწყვიტა, როცა ანგარიში იყო 5:3 (40 ყაიმი) კარპოვის სასარგებლოდ. ვერ ვიტყვით, რამდენად სწორი იყო პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება. მან ახალი მატჩი დანიშნა მეტოქეთა შორის, ოღონდ რეგლამენტი შეცვალა (24 პარტია). ახალი შეხვედრა (IX-X. 1985) მოიგო კასპაროვმა ანგარიშით 13:11 (+5—3=16) და მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონად მოვლინა.

როცა ფიდე-მ მიიღო გადაწყვეტილება კარპოვ — კასპაროვის მეორე მატჩის გამართვის თაობაზე, კარპოვს შეუნარჩუნა მატჩ-რევანშის თამაშის უფლება, რაც მას, როგორც მსოფლიო ჩემპიონს, პირველ მატჩში ჰქონდა. დღეს იგი სწორედ ამ უფლებით სარგებლობს.

სპეციალისტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ დიდოსტატები დაახლოებით თანაბარი ძალისანი არიან, თუმცა არის სხვაობა მათ რეიტინგებში 1986 წლის 1 ივლისისთვის (კასპაროვის რეიტინგია 2740, კარპოვისა — 2705). შეხვედრების საერთო ანგარიში თანაბარია — 37,5:37,5 (+8—8=59). ასეთი მეტოქეების შეხვედრაში ყველა წვრილმანს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ამიტომ დიდოსტატები საგულდაგულოდ ემზადებოდნენ მატჩ-რევანშისთვის.

საწვრთნელად კასპაროვმა მინიმატჩების თამაში ამჯობინა. მან დაამარცხა რობერტ ჰიუბნერი (გფრ) — 4,5:1,5, ულფ ანდერსონი (შვეცია) — 4:2, იან ტიმანი (ჰოლანდია) — 4:2 და ენტონ მაილსი (ინგლისი) — 5,5:0,5. 1983 წლიდან კასპაროვს არც ერთ ტურნირში არ მიუღია მონაწილეობა.

კარპოვმა კი მატჩებს შორის განვლილ პერიოდში (XI. 1985-VI. 1986) ორ დიდ საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა და ორივეში I ადგილი დაიკავა: ბრიუსელში (ბელგია) 11-დან 9 ქულით (+7—0=4), ბუგოინოში (იუგოსლავია) 14-დან 8,5 ქულით (+4—1=9).

ამ შეჯიბრებებმა ცხადყო, რომ მეტოქენი ჩინებულ სპორტულ ფორმაში არიან, თუმცა, რაღა თქმა უნდა, საწვრთნელ შეხვედრებში ისინი მთელ თავიანთ „არსენალს“ როდი იყენებდნენ. როგორც პირველ ორ მატჩში, დებიუტში ახლაც მძაფრი თეორიული ბრძოლაა მოსალოდნელი. ეს კასპაროვმაც დაადასტურა ცენტრალური ტელევიზიის კორესპონდენტთან საუბარში.

მატჩი დაძაბულ და საინტერესო ბრძოლას გვპირდება. მეტოქენი არ მალავენ თავიანთ სურვილსა და განზრახვას. ორივეს სჯერა გამარჯვებისა.

გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მესამე შეხვედრა გადამწყვეტი იქნებაო, წერს მიხეილ ტალი. გადამწყვეტი, მაგრამ არა უკანასკნელი, რადგან დღესდღეობით და ალბათ უახლოეს წლებშიც მსოფლიოში მათ ტოლი არ გამოუჩნდება.

ახლა კი ყველას მზერა მიმართულია ლონდონის სასტუმრო „პარკ-ლეინისკენ“, სადაც ხვალ, 28 ივლისს, ეპოქალური მატჩი დაიწყება.

თენგიზ გიორგაძე.

ასე დაიწყო 1984 წლის სექტემბერს მოსკოვში გ. კასპაროვისა და ა. კარპოვის მარათონული ორთაბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის, რომელიც დღესაც გრძელდება. საათს რთავს მატჩის მსაჯი, უხუცესი საბჭოთა ოსტატი და არბიტრი ვლადას მიკენასი (ლიტვა).

მეტოქეთა აზრით...

ლონდონში გამგზავრების წინ გ. კასპაროვსა და ა. კარპოვს ინტერვიუ ჩამოართვეს სხვადასხვა გაზეთების კორესპონდენტებმა. გთავაზობთ ზოგიერთ საინტერესო კითხვა-პასუხს.

მსოფლიო ჩემპიონი გ. კასპაროვი.

⊙ ხომ არ გეძნელებათ ანატოლი კარპოვთან თამაში?

— დღეს იგი ყველაზე ძნელი მეტოქეა ჩემთვის.

⊙ როგორ ფიქრობთ, საინტერესო სიუჟეტით წარიმართება მატჩ-რევანში?

— მინდა დავიჯერო, რომ ასე იქნება. მე და კარპოვმა მატჩებში 72 პარტია ვითამაშეთ. ეს ძალიან ბევრია. კარგადაც შევისწავლეთ ერთმანეთი, ამიტომ ახალი იდეების გარეშე გამარჯვება შეუძლებელი იქნება.

მსოფლიოს ექსჩემპიონი ა. კარპოვი.

⊙ როგორ ხვდებით მატჩს?

— კარგი გუნება-განწყობილებით. მზადებისთვის დასახული გეგმა მთლიანად შევასრულე.

⊙ როგორი იქნება მომავალი ორთაბრძოლა?

— შევეცდები კარგად ვითამაშო. იმედი მაქვს, რომ ამ მატჩში საინტერესო, მიმზიდველი ბრძოლა გაჩაღდება, ვფიქრობ, ორივეს შეგვწევს უნარი ვაჩვენოთ ყველაფერი, რითაც მდიდარია თანამედროვე ჭადრაკი.

„პრავდის“ კორესპონდენტის შეკითხვაზე: რას ფიქრობენ მეტოქენი მატჩზე, დიდოსტატებმა ასე უპასუხეს:

გ. კასპაროვი: თქმა იმისა, რომ მატჩი ძნელი იქნება, იმას ნიშნავს, რომ არაფერი თქვა. ჩვენ 72 პარტია ვითამაშეთ, დანარჩენი წონაა... რაც შემეხება მე, ასე ვიტყვი: ძალას ვგრძნობ, მაქვს სურვილი, ჯანმრთელადაც ვარ, ესე იგი უნდა ვითამაშო!

ა. კარპოვი: მატჩ-რევანშზე გამოწვევის შემდეგ ნახევარ წელზე მეტი დრო გავიდა. ამ ხნის მანძილზე ჩატარდა როგორც პრაქტიკული სამუშაო, რომელიც როგორც მე მგონია, შევასრულე, ისევე თეორიული. იმედი მაქვს, რომ მატჩ-რევანშზე ჩემი გამოწვევა საფუძველს მოკლებული არ არის. ბუნებით ოპტიმისტი ვარ. ვფიქრობ, უკეთესად ვითამაშებ, ვიდრე ჩვენს ბოლო მატჩში.

მეტალურგის დღეს მიეძღვნა

„ვინ უფრო კარგად, ვინ უფრო სწრაფად, ვინ უფრო ძლიერად“ — ასე ერქვა ჰიათურაში გამართულ მეტალურგის დღისადმი მიძღვნილ კულტურულ-სპორტულ ღონისძიებას, რომელიც ქალაქის ცენტრში, ახლად აგებულ კალათბურთის მოედანზე ჩატარდა.

მონაწილეთა შორის იყვნენ დიმიტროვისა და პატარიძის მაღაროთა სამმართველოების, ცენტრალური ელექტრო-მექანიკური სახელოსნოს, ცენტრალური დამყვანი ფაბრიკების კომპლექსთა და პერევისის პიონერთა ბანაკ „მზიურის“ ფიზკულტურული კოლექტივები და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები. „ყველაზე კარგად, ყველაზე სწრაფად, ყველაზე ძლიერად“ დამყვანი ფაბრიკების კომპლექსთა სპორტსმენებმა იასპარეზეს და საწარმოო გაერთიანება „ჰიათურმარგანეცის“ პროფკავშირის კომიტეტის მიერ დაწესებული პრიზი მათ მოიპოვეს. გაერთიანების დამხმარე მეურნეობის ფეხბურთელთა შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდისათვის დაწესებული პრიზი მოიპოვეს სოფელ ნიგოზეთის ფეხბურთელებმა, რომლებმაც ფინალში ბერეთისის გუნდი დაამარცხეს.

ვაჟა ლურსმანაშვილი,
(„ლელოს“ კორ.).
ჰიათურა.

ნომერშია:

⊙ ჩოგბურთელები მესამე საპრიზო ადგილს გვპირდებიან. მე-2 გვ.

⊙ ოსტატობის კარიბჭეთან მომდგარი ჭაბუკები. მე-3 გვ.

⊙ ხელბურთელმა ვაუებმა სასპარტაკიადო ტურნირი წარმატებით დაიწყეს. მე-4 გვ.

⊙ ფეხბურთის ვირტუოზები დღეს აშშ-ის ქალაქ პასადენაში შეხვდებიან ერთმანეთს. მე-4 გვ.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაგარი

კლასიკური ჭიდაობა

„ვერცხლი“ — ვასილ ქარსელაძე (მძიმე წონა, თბილისი)

ძიუდო

„ბრინჯაო“ — ენგური გოგიჩაშვილი (78 კგ., გორი)

ვასილ ქარსელაძე



ენგური გოგიჩაშვილი

დაიბადა 1966 წელს თბილისში. წონა 108 კგ, სიმაღლე 178 სმ. სპორტის ოსტატი, არმიის სპორტული კლუბის წევრი. სპი-ს II კურსის სტუდენტი. შეიარაღებული ძალების ახალგაზრდა მოჭიდავეთა 1985 წლის ტურნირში გამარჯვებული. 1986 წლის საკავშირო ახალგაზრდული შეჯიბრების III პრიზიორი. სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი.

დაიბადა 1962 წელს გორში. წონა 78 კგ, სიმაღლე 175 სმ. სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ წევრი. საუკეთესო შედეგები: საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საკავშირო ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვებული, თბილისის საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორი.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სამ. ბიბლიოთეკა

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები მინსკიდან და კიევიდან გვატყობინებენ:

ვინ რა შეძლო

მინსკი. კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება სუსტი შედეგებით დაამთავრეს. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ გუნდმა VII ადგილი დაიკავა, მძიმე წონის წარმომადგენელი, თბილისელი ვასილ ქარსელაძე კი II სპრიზო ადგილზე გავიდა.

გთავაზობთ საქართველოს სპორტსმენთა მიერ დაკავებულ ადგილებს და ქულებს, რომლებიც მათ გუნდურ „უულაბაში“ შეიტანეს:

57 კგ. ჯობა გულიაშვილი — X ადგილი (8 ქულა); 62 კგ. ვასილ ონიანი — XI ადგილი (6 ქულა); 74 კგ. ჯემალ ბაკურძე — V ადგილი (17 ქულა), 82 კგ. ბესიკ აფციაური — X ადგილი (7 ქულა), 90 კგ. ზაურ ივანაშვილი — V ადგილი (17 ქულა), ამავე წონაში, თე-

იხ. მე-4 გვ.

საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტში

საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტში გამართულ კოლეგიის მორიგ სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში რესპუბლიკის მოჭადრაკეთა და ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების გამოსვლის შედეგები.

აღინიშნა, რომ მოჭადრაკე ქალთა გუნდმა სრულად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები — მეტოქეთა შეუფასებლობამ, თავდაჯერებამ, უპირატესობის ამბიციურმა რწმენამ და მზადების პერიოდში ზოგიერთი მოჭადრაკის ხიზარმაცემ ხაქმე იქამდე მიიყვანა, რომ გუნდი ფინალური ექვსეულის მიღმა დარჩა და საბოლოოდ მეორე ჯგუფში VII ადგილზე აღმოჩნდა. კოლეგიამ რესპუბლიკის მოჭადრაკე ქალთა გამოსვლა სპარტაკიადაზე უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად შეაფასა, ვაუ მოჭადრაკეთა გამოსვლაზე კი უარადღება გაამახვილა — გუნდმა არ დაარღვია ტრადიცია, სპარტაკიადის ფინალურ ჯგუფში მოხვდა და დასახული ამოცანა შეასრულა.

სპარტაკიადაზე ძალზე სუსტად იასპარეზა რესპუბლიკის ფეხბურთელთა გუნდმა. მიუხედავად იმისა, რომ მზადებისათვის კარგი პირობები შეუქმნეს, ჩვენმა ნაკრებმა ვერ დაიკავა ნავარაუდევი საპრიზო ადგილი. კოლეგიამ უმკაცრესი შეფასება მისცა გუნდში თავჩენილ ნაკლოვანებებს და საქართველოს ნაკრები გუნდის გამოსვლა უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა.

კოლეგიამ სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი გ. ბაქანიძე გაანთავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან.

ვრცელი წერილი სპარტაკიადაზე ფეხბურთელთა წარუმატებელი გამოსვლის შესახებ „ლელოს“ ფურცლებზე ცალკე გამოქვეყნდება.

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობის წინ

ᲕᲘᲜ ᲠᲘᲗ ᲓᲐᲕᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ?...

შარშან, ჭაბუკთა I საკავშირო სპორტულ თამაშებზე საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მაშინდელი ტრიუმფის მონაწილენი, თითქმის სრული შემადგენლობით, ამჟამად საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადისთვის ემზადებიან. დებულებით, სახპარტაკიადო ტურნირზე დაიშვებიან 1968 და შემდეგ წლებში დაბადებული სპორტსმენები. წლოვანების მხრივ სხვა გუნდები საქართველოს ნაკრებზე გაცილებით სოლიდურად გამოიყურებიან: მწვრთნელებმა გამოთვალეს, რომ ჩვენი ჩოგბურთელების მეტოქეები საშუალოდ, სულ ცოტა, ორ-ნახევარი წლით უფროსები და, შესაბამისად, უფრო გამოცდილნიც იქნებიან.

⊙ რატომ არ არიან გუნდში 22-23 წლის სპორტსმენები? — ამ კითხვით დაიწყო ჩვენი საუბარი წარსულში ცნობილ ჩოგბურთელთან ტოომას ლეიუსთან, რომელიც უკვე მეორე წელიწადია საქართველოს ნაკრებს უდგას სათავეში.



ირინე მალაციძე.

— სამწუხაროდ, რესპუბლიკაში ფაქტიურად არ არიან 1963-1965 წლებში დაბადებული ძლიერი ჩოგბურთელები, — გვიპასუხა ლეიუსმა. — როგორც ჩანს, თავის დროზე ამ ასაკის სპორტსმენებთან მუშაობა სათანადო დონეზე ვერ იდგა. ამასთან, ზოგიერთი უკვე ჩამოშორდა კიდეც აქტიურ სპორტს. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ ირინე მალაციძე და ვიქტორ ხურდა, რომლებიც ახლა სხვებთან ერთად ემზადებიან სპარტაკიადისთვის. სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ხურდა სერიოზულად, მთელი დატვირთვით შეუდგა ვარჯიშს და იმედი გვაქვს, მოსკოვის კორტებზე წარმატებით იასპარეზებს. მალაციძე საკავშირო კლასიფიკაციაში 26-ე ადგილზეა, ხურდა — 44-ზე.

⊙ ნაკრების სხვა კანდიდატებზე რას გვეტყვით?

— მალაციძესთან და ხურდასთან ერთად სპარტაკიადაზე გამგზავრების კანდიდატები არიან ლეილა მესხი (8), ირინე გერაძე (52), ეკა თოხაძე (62), ეკა ბოკუჩავა (80), ვლადიმერ გაბრიჩიძე (14), ირაკლი მეტრეველი (35), დავით კაჭარავა (45), დავით კვარაცხელია (98) და გელა ელერდაშვილი (138). გუნდში უნდა იყოს ხუთი ქალიშვილი და ამდენივე ვაჟი. როგორც ხედავთ, ქალიშვილების გუნდის შემადგენლობა, შეიძლება ითქვას, უკვე გარკვეულია, ვაჟებში კი ხუთ ადგილზე ექვსი სპორტსმენი აცხადებს პრეტენზიას. თუ ვის მოუხდება შინ დარჩენა, ეს მხოლოდ მოსკოვში გამგზავრების წინ გადაწყდება. ისიც უნდა ითქვას, რომ სრული შემადგენლობით თბილისში იშვიათად ვიკრიბებით, რადგან ხან მესხი, ხან გაბრიჩიძე, კაჭარავა, ზოგჯერ კი სამივენი ერთად ან საკავშირო ნაკრების შეკრებაზე იმყოფებიან, ან საზღვარგარეთ ასპარეზობენ. რაც შეეხება მწვრთნელებს, ჩემთან ერთად გუნდს ამზადებენ ვლადიმერ გოგლიძე, გრანტ მუსაელიანი, ვიქტორ ბაკში, რენა აბჟანდაძე, ალა ივანოვა და ირინა ერმოლოვა. მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს სპორტის დამსახურებული ოსტატი თეიმურაზ კაკულია. სპორტსმენთა საერთო ფიზიკურ მომზადებას ხელმძღვანელობენ აკაკი ხუციშვილი და პეტრე კრასნოვი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გუნდს მზადების პერიოდში დიდ ყურადღებას აქცევს უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკური სკოლა (დირექტორი კონსტანტინე გონაძე).

⊙ როდის დაიწყეთ უშუალოდ სპარტაკიადისთვის მზადება?

— პირველი შეკრება შარშან შემოდგომაზე ლესელიძეში გავმართეთ. ამას მოჰყვა შეკრებები ბაკურიანში, თბილისში და თელავში. ამ ხნის მანძილზე ნაკრების წევრებმა იასპარეზეს მოსკოვში, კიევში, მინსკში, ლენინგრადში, ტალინში, უჟგოროდში, თბილისში, სოხუმსა და ბათუმში გამართულ საკავშირო ტურნირებში. მესხი საფრანგეთის, იტალიისა და ინგლისის კორტებზე გამოდიოდა, გაბრიჩიძემ ითხმაში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და საფრანგეთის ღია ჩემპიონატში, კაჭარავამ კი იტალიასა და ბულგარეთში გამართულ ოთხ საერთაშორისო ტურნირში სცადა ძალა. თოხაძემ, გერაძემ და კვარაცხელიამ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს. სასპარტაკიადო ტურნირის კენჭისყრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სპორტსმენთა ადგილს საკავშირო კლასიფიკაციაში. ზამთრის პერიოდში დახურულ კორტებზე გამართულ მრავალრიცხოვან შეჯიბრებებში ჩვენი გუნდის წევრებმა კარგად ითამაშეს და თითქმის ყველამ უკეთეს ადგილზე გადაინაცვლა უძლიერეს ჩოგბურთელთა სიაში. ასე რომ, მზადების ამ ეტაპით მეტად კმაყოფილი ვარ.

⊙ ორიოდე სიტყვა მეტოქეებზეც გვითხარით.

— სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებ გუნდს მესამე ადგილზე გასვლა აქვს დაგეგმილი. უკეთესი შედეგის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან მოსკოვისა და უკრაინის კოლექტივები სადღეისოდ დანარჩენ მეტოქეებზე მთელი თავით მაღლა დგანან და მათთან კონკურენციაზე ფიქრიც ზედმეტია. მესამე ადგილზე კი ჩვენს გარდა პრეტენზიას აცხადებენ რუსეთის ფედერაციის, ესტონეთისა და ლატვიის ძლიერი გუნდები. ნახევარფინალში გასასვლელად ჩვენს ვაჟებს მძიმე ბრძოლა მოელით ლატვიელ ჩოგბურთელებთან გირტს ძელდეს მეთაურობით. სხვათა შორის, ორიოდე თვის წინ ძელდემ გაიმარჯვა თბილისში გამართულ უძლიერეს ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირში. რაც შეეხება ქალთა შეჯიბრებას, აქ მდგომარეობა ჯერ ბოლომდე არ არის გარკვეული. თუ მოსკოველ ოქსანა ლიფნოვას რუსეთის ფედერაციის ნაკრების სახელით ასპარეზობის ნებას დართავენ, მაშინ ქართველი სპორტსმენების მეტოქე უძლიერესთა ოთხეულის საგზურისთვის ბრძოლაში სწორედ ეს გუნდი იქნება. თუ არა და ჩვენს გუნდს მოლდაველ ჩოგბურთელებთან მოუხდება თამაში. მოლდავეთის ნაკრები კი რუსეთის ფედერაციის გუნდზე სუსტია. გარდა ამისა, ადგილების საბოლოო განაწილებისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება ერთეულთა და წყვილთა ასპარეზობის შედეგებს. ვფიქრობ, სწორედ წყვილთა შეხვედრების შედეგებს შეუძლია გადაწყვიტოს საერთო გუნდური მესამე ადგილის ბედი.

⊙ მოსკოვში როდის მიემგზავრებით?

— მზადების დასკვნით ეტაპზე 27 ივლისამდე, შეკრებას გავივლით თელავში. შემდეგ რამდენიმე დღეს თბილისში ვივარჯიშებთ და 2 აგვისტოს გავემგზავრებით მოსკოვში, სადაც 12-დღიანი დაძაბული ბრძოლა გველის. ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ თბილისში დაპირებული ბრინჯაოს მედლებით დაბრუნდეთ.

საუბარი ჩაიწერა ᲖᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔᲗᲐᲗᲘ.

ᲞᲘᲠᲐᲓ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲨᲘ

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში საქართველოს ჩოგბურთელთაგან ჩემპიონის სახელი ყველაზე ადრე ირინა რიაზანოვამ მოიპოვა. ეს მოხდა 1959 წელს. რიაზანოვა მოსკოველ ანა დმიტრიევასთან ერთად ჩემპიონი გახდა ქალთა წყვილების თანრიგში.

შემდეგ წარმატებას ჩვენმა ჩოგბურთელებმა 1967 წელს ხალხთა IV სპარტაკიადაში მიაღწიეს. ამ წელს გუნდმა II საპრიზო ადგილი დაიკავა. ეს წარმატება მნიშვნელოვანწილად ალექსანდრე მეტრეველის ბრწყინვალე თამაშმა განაპირობა. იგი ჯერ ერთეულთა თანრიგში გახდა ჩემპიონი. მერე კი ბაქოელ სერგეი ლიხაჩოვთან ერთად ოქროს მედალი წყვილთა თანრიგშიც დაისაკუთრა.

ალექსანდრე მეტრეველის ნამდვილი ბენეფისით აღინიშნა საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა. მან ყველა თანრიგში პირველი ადგილი დაისაკუთრა და სპარტაკიადის აბსოლუტურ ჩემპიონად გამოცხადდა. მეტრეველმა ოქროს მედლები მიიღო ერთეულთა თანრიგშიც, ვაჟთა წყვილებში ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელთან თენგიზ იმურაზ კაკულიასთან ერთად და ბოლოს ოლგა მოროზოვასთან (მოსკოვი) წყვილში შერეულ თანრიგში შეჯიბრებაც მოიგო.

1979 წელს ხალხთა VII სპარტაკიადაში პირადი შეჯიბრება არ ჩატარებულა.

ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ საბჭოთა კავშირის ხალხთა ყველა სპარტაკიადის პროგრამაში იყო შეტანილი ერთის გარდა. 1971 წელს შეჯიბრებები მხოლოდ სპორტის ოლიმპიურ სახეობებში ჩატარდა და ჩოგბურთი, ბუნებრივია, სპარტაკიადის პროგრამაში არ შედიოდა.

საქართველოს ჩოგბურთელები სასპარტაკიადო ტურნირებში VI გუნდურ ადგილზე დაბლა არ ჩამოსულან, საუკეთესო შედეგი კი 1967 წელს ჰქონდათ (IV სპარტაკიადაზე). საქართველოს სპორტსმენებმა მაშინ II საპრიზო ადგილი დაიკავეს. თუმცა უფრო ზუსტ ინფორმაციას საქართველოს სპორტსმენთა შესახებ ქვემოთმოყვანილი ცხრილი მოგვცემს:

1956 წ. I სპარტაკიადა 5 ადგილ
1959 წ. II სპარტაკიადა 4
1963 წ. III სპარტაკიადა 5
1967 წ. IV სპარტაკიადა 2
1975 წ. VI სპარტაკიადა 4
1979 წ. VII სპარტაკიადა 5
1983 წ. VIII სპარტაკიადა 6



ვიქტორ ხურდა.

საქართველოს IX სპარტაკიადა

ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

საქართველოში ტყვიის მსროლელთა ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი შეჯიბრება სოხუმში, ეშერის სასროლეთზე ტარდება. რესპუბლიკის სხვა ბაზებს, მათი მოწყობილობის გამო სავარჯიშოდაც ძლივს იყენებენ სპორტსმენები და მწვრთნელები. საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული სნაიპერთა ასპარეზობაც ტრადიციულად ეშერაში ჩატარდა. როგორც ყოველთვის, შეჯიბრებაში ამჯერადაც ოთხი გუნდი, თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის კოლექტივები ჩაებნენ.

ახლა, როდესაც მთლიანი სასპარტაკიადო გუნდის დაკომპლექტება გვიჭირს და ყოველი ხეირიანი მსროლელი მწვრთნელთა ყურადღების ცენტრშია, ცხადია, სასპარტაკიადო ტურნირზე მოულოდნელს არაფერს ველოდით, მითუმეტეს, რომ შეჯიბრებაში რამდენიმე წამყვანი სპორტსმენი არ მონაწილეობდა. საკავშირო სპარტაკიადის სტარტამდე თითქმის სამი თვით ადრე ჩატარებული რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგებიც, უფრო იმით იყო საყურადღებო, რომ მწვრთნელებს კარგად დაანახა გუნდის მომზადებაში არსებული ხარვეზები. თუმცა ეშერაში რამდენიმე მსროლელს ცუდი შედეგი არ უჩვენებია. მაგალითად, ქუთაისელმა ილია ჩაგანავამ „გაქცეულ ტახზე“ სროლაში (მშ — 12) 592 ქულა მოაგროვა და კიდევ ერთხელ შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. მცირეკალიბრიანი და პნევმატური შაშხანით სროლაში სამი პირველი ადგილი მოიპოვა თბილისელმა ნინო მაისურაძემ.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ:

ვაჟები. მპ-6. 1. გ. ჭანტურიძე (ქუთაისი) — 553; 2. გ. ამაშუკელი — 552; 3. კ. კოსმინინი (ორივე — თბილისი) — 549.

საქართველოს სამგზის ჩემპიონი ნინო მაისურაძე.

ვ. კორუის ფოტო.

მპ — 8. 1. ა. დოლგარიოვი — 590; 2. ს. ერმიშიანი — 587; 3. კოსმინინი (სამივე — თბილისი) — 576.

პპ — 2. 1. კოსმინინი — 383; 2. ერმიშიანი — 381, ა. ა. კუჭუხიძე (აფხაზეთი) — 381.

პშ — 4. 1. გ. სარუხანოვი — 387; 2. ა. ძამოევი (ორივე — თბილისი) — 382; 3. თ. ქოიავა (აფხაზეთი) — 378.

მშ — 9. 1. სარუხანოვი — 594; 2. კ. გევორქიანი (აფხაზეთი) — 589; 3. ო. კობერიძე (თბილისი) — 589.

მშ — 12. 1. ი. ჩაგანავა (ქუთაისი) — 592; 2. გ. ბაღდასაროვი — 575; 3. ზ. გიზიყურაშვილი (ორივე — თბილისი) — 570.

მშ — 6. 1. ქოიავა — 1131; 2. გევორქიანი — 1125; 3. ძამოევი — 1121.

მპ — 5. 1. ნ. უჩაძე (ქუთაისი) — 579; 2. ე. სმირნოვა — 575; 3. ა. ოსიპოვა (ორივე — თბილისი) — 575.

პპ — 2. ო. სამოილენკო (თბილისი) — 385; 2. სმირნოვა — 378; 3. ე. შჩუკინა (აფხაზეთი) — 370.

მშ — 9. 1. ნ. მაისურაძე — 589; 2. ს. არაშიძე (ორივე — თბილისი) — 587; 3. ლ. ჩაკვეტაძე (აფხაზეთი) — 584.

• მშ — 5. 1. ნ. მაისურაძე — 556; 2. ტ. ილარიონოვა (თბილისი) — 552; 3. მ. ჩხეიძე (აფხაზეთი) — 554 (ძირითად სერიებში).

პშ — 4. 1. მაისურაძე — 384; 2. ტ. თუთაძე (თბილისი) — 386; 3. არაშიძე — 377.

გუნდური. 1. თბილისი — 7855 ქულა; 2. აფხაზეთი — 444,5; 3. ქუთაისი — 436,5; 4. აჭარა — 235.

27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲒᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲓᲦᲔ

ᲕᲐᲭᲠᲝᲒᲘᲡ მუშაკთა პროფესიული დღესასწაული ყოველწლიურად ივლისის ბოლო კვირა დღეს აღინიშნება. 70-იანი წლებიდან ვაჭრობის დარგის მრავალრიცხოვან არმიას შედარებით ახალი სფეროს წარმომადგენლები — სპორტული საქონლით ვაჭრობის მუშაკები შეუერთდნენ. ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად საბითუმო გაერთიანება „სპორტსაქონლის“ ბევრი სპეციალიზებული მაღაზიაა. ასეთ მაღაზიებს მყიდველიც მეტი მრავალი ჰყავს — სპორტულ ნაწარმზე ხომ დღეს დიდი მოთხოვნილებაა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: თბილისის ბავშვთა სპორტული მაღაზია „იმედის“ გამგე ყიდველი მაყვალა გოგოლაძე და ნორჩი მომხმარებლები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

24 და 25 ივლისს შედგა სსრ კავშირის 49-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XIX ტურის მატჩები. გთავაზობთ მათს სტატისტიკურ მონაცემებს.

„დინამო“ (კიევი) — „დნეპრი“ 2:1 (2:1). კიეველთა მცველის იარემჩუკის მიერ მე-5 წუთზე გატანილი ბურთი სულ მცირე ხანში გაქვითა ლიტოვჩენკომ, მერე კი, მე-20 წუთზე მიხაილიჩენკომ კვლავ დააწინაურა კიევის „დინამო“.

დუბლიორები — 0:1.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 1:1 (0:0). დედაქალაქის ორივე ეს გუნდი ჩემპიონატის წამყვან ჯგუფში იმყოფება, მაგრამ ლიდერთა შეხვედრა ფრიად საინტერესოდ, მოსაწყენად ჩატარდა. მეტოქეებმა ვერ გამოიჩინეს მაღალი კლასი, მოთამაშეები ხშირად ცდებოდნენ. პირველი ბურთი ტორპედოელმა გრიშინმა გაიტანა, ბოლო სპასუხო — ნოვიკოვმა.

დუბლიორები — 2:0.

„ქაირათი“ — „სპარტაკი“ 1:0 (1:0). სპარტაკელებმა ბოლო ხანებში რამდენიმე მეტად მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს, „ქაირათმა“ კი საგრძნობლად დათმო ადრე მოპოვებული პოზიციები. მაგრამ ამ მატჩში ალმაათელებმა ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს ფეხლევანიდის მიერ 25-ე წუთზე გატანილი საჯარიმოს მეოხებით.

გააფრთხილეს „ქაირათის“ ფეხბურთელები გრიჯანი და ლედოვსკიხი, აგრეთვე, სპარტაკელი მოროზოვი.

დუბლიორები — 1:4.

„დინამო“ (მინსკი) — „ჩერნომორეცი“ 0:0.

გააფრთხილეს მინსკელი ზიგმანტოვიჩი და ოდესელი იურჩენკო.

დუბლიორები — 1:0.

„ნეფთჩი“ — „მეტალისტი“ 0:0.

გააფრთხილეს „მეტალურგის“ ფეხბურთელი ლოზინსკი.

დუბლიორები — 2:3.

„არარატი“ — „შახტიორი“ 2:1. (1:0). გოლები: მარქარიანი, ვერანიანი („არარატი“), იაშჩენკო („შახტიორი“).

დუბლიორები — 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 ივლისისთვის ⊙ ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
1. „ზენიტი“ (ლენინგრადი)	18	8	6	4	31-19	22	(—14)
2. „ტორპედო“ (მოსკოვი)	18	7	8	3	22-15	22	(—14)
3. „შახტიორი“ (დონეცკი)	18	7	6	5	26-19	20	(—16)
4. „დინამო“ (მოსკოვი)	17	7	6	4	20-17	20	(—14)
5. „ნეფთჩი“ (ბაქო)	19	6	8	5	23-20	20	(—18)
6. „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	19	7	5	7	20-19	19	(—19)
7. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	19	6	7	6	27-26	19	(—19)
8. „სპარტაკი“ (მოსკოვი)	18	7	4	7	29-15	18	(—18)
9. „ყალგირისი“ (ვილნიუსი)	19	7	4	8	16-20	18	(—20)
10. „დინამო“ (თბილისი)	19	5	8	6	16-20	18	(—20)
11. „დინამო“ (კიევი)	12	6	5	1	19-10	17	(—7)
12. „დინამო“ (მინსკი)	18	6	4	8	16-26	16	(—20)
13. „ქაირათი“ (ალმა-ათა)	18	5	6	7	14-24	16	(—20)
14. „არარატი“ (ერევანი)	19	5	5	9	13-21	15	(—23)
15. „მეტალისტი“ (ხარკოვი)	18	4	7	7	14-16	15	(—21)
16. „ტორპედო“ (ქუთაისი)	19	4	5	10	16-35	13	(—25)

ოსტატობის კარიბჭესთან

დამაჯერებლად გაიმარჯვეს

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა წარმატებით იასპარეზეს კრემენჩუგში გამართულ ჩპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ საკავშირო პირველობაში, რომელშიც 1971-1972 წლებში დაბადებული ფეხბურთელები მონაწილეობდნენ.

შეჯიბრებაში სულ რვა რესპუბლიკის ნაკრები გუნდი გამოდიოდა. ასპარეზობის მონაწილენი ორ ჯგუფად გაიყვნენ. საქართველოს ნაკრები პირველ ჯგუფში მოხვდა. აქ ჩვენმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს რუსეთის ფედერაციისა (2:0) და ბელორუსიის ნაკრები (1:0), ფრედ დაამთავრეს შეხვედრა აზერბაიჯანის კოლექტივთან (1:1), პირველი ადგილი დიკავეს და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. გადამწყვეტ შეხვედრებში საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა უკრაინისა (2:1) და უზბეკეთის (5:0) გუნდები და „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

გუნდს წვრთნის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მამულ ცნოიძე.

ტურნირის საუკეთესო მცველად აღიარეს გამარჯვებული გუნდის ცენტრალური მცველი ვაღლამ ძაგანია.

ამ პირველობის შემდეგ შედგა „შრომითი რეზერვების“ საკავშირო ნაკრები, რომლის შემადგენლობაშიც მიიწვიეს ოთხი ქართველი ფეხბურთელი — მცველები ვ. ძაგანია და ლ. თომაძე, ნახევარმცველი ტ. კახეთელიძე და თავდამსხმელი დ. გურულიშვილი.

25-ე ტური
27 ივლისი, კვირა
ცსკა — „შინიკი“
30 ივლისი, ოთხშაბათი
„ფახთაქორი“ — „ყუბანი“
„პამირი“ — ასკ რ.
ასკ „კარპატი“ — „ლოკომოტივი“
„ნისტრუ“ — „ფაკელი“
„გურია“ — „კოტაიკი“
„სპარტაკი“ — „დინამო“ ბ.
„როტორი“ — „ისკრა“
„როსტსელმაში“ — „კუზბასი“
„დინამო“ სტ. — ასკ ხ.
„მეტალურგი“ — „ატლანტასი“
26-ე ტური
2 აგვისტო, შაბათი
„დაუგავა“ — „ატლანტასი“
„ფახთაქორი“ — ასკ რ.
„პამირი“ — „ყუბანი“
ასკ „კარპატი“ — „ფაკელი“
„ნისტრუ“ — „ლოკომოტივი“
„გურია“ — „დინამო“ ბ.
„სპარტაკი“ — „კოტაიკი“
„როტორი“ — „შინიკი“
„როსტსელმაში“ — ასკ ხ.
„დინამო“ სტ. — „კუზბასი“
„მეტალურგი“ — „კოლოსი“
5 აგვისტო, სამშაბათი
ასკ ხ. — ცსკა
6 აგვისტო, ოთხშაბათი
სსრ კავშირის თასი, მერვედფინალი.
27-ე ტური
9 აგვისტო, შაბათი
ასკ ხ. — „როტორი“
„ისკრა“ — „გურია“
„შინიკი“ — „სპარტაკი“
„კოტაიკი“ — „ნისტრუ“
„დინამო“ ბ. — ასკ „კარპატი“
„ლოკომოტივი“ — „ფახთაქორი“
„ფაკელი“ — „პამირი“
„ყუბანი“ — „დაუგავა“
ასკ რ. — „ატლანტასი“
„კოლოსი“ — „როსტსელმაში“
„მეტალურგი“ — „დინამო“ სტ.
28-ე ტური
12 აგვისტო, სამშაბათი
„კუზბასი“ — „როტორი“
„ისკრა“ — „სპარტაკი“
„შინიკი“ — „გურია“
„კოტაიკი“ — ასკ „კარპატი“
„დინამო“ ბ. — „ნისტრუ“
„ლოკომოტივი“ — „პამირი“
„ფაკელი“ — „ფახთაქორი“
„ყუბანი“ — „ატლანტასი“
ასკ რ. — „დაუგავა“
„კოლოსი“ — „დინამო“ სტ.
„მეტალურგი“ — „როსტსელმაში“
29-ე ტური
18 აგვისტო, ორშაბათი
ასკ რ. — „ყუბანი“
„ატლანტასი“ — „ფაკელი“
„დაუგავა“ — „ლოკომოტივი“
„ფახთაქორი“ — „კოტაიკი“
„პამირი“ — „დინამო“ ბ.
ასკ „კარპატი“ — „ისკრა“
„ნისტრუ“ — „შინიკი“
„გურია“ — „კუზბასი“
„სპარტაკი“ — ასკ ხ.
„როტორი“ — „კოლოსი“
30-ე ტური
21 აგვისტო, ხუთშაბათი
„ატლანტასი“ — „ლოკომოტივი“
„დაუგავა“ — „ფაკელი“
„ფახთაქორი“ — „დინამო“ ბ.
„პამირი“ — „კოტაიკი“
ასკ „კარპატი“ — „შინიკი“
„ნისტრუ“ — „ისკრა“
„გურია“ — ასკ ხ.
„სპარტაკი“ — „კუზბასი“
„როტორი“ — „მეტალურგი“
„დინამო“ სტ. — „როსტსელმაში“
31-ე ტური
27 აგვისტო, ოთხშაბათი
„კუზბასი“ — ასკ „კარპატი“
ასკ ხ. — „ნისტრუ“
„ისკრა“ — „ფახთაქორი“
„შინიკი“ — „პამირი“
„კოტაიკი“ — „ატლანტასი“
„დინამო“ ბ. — „დაუგავა“
„ლოკომოტივი“ — „ყუბანი“
„ფაკელი“ — ასკ რ.
„როსტსელმაში“ — ცსკა
„დინამო“ სტ. — „როტორი“
„კოლოსი“ — „გურია“
„მეტალურგი“ — „სპარტაკი“
32-ე ტური
30 აგვისტო, შაბათი
„კუზბასი“ — „ნისტრუ“
ასკ ხ. — ასკ „კარპატი“
„ისკრა“ — „პამირი“
„შინიკი“ — „ფახთაქორი“
„კოტაიკი“ — „დაუგავა“
„დინამო“ ბ. — „ატლანტასი“
„ლოკომოტივი“ — ასკ რ.
„ფაკელი“ — „ყუბანი“
„როსტსელმაში“ — „როტორი“
„დინამო“ სტ. — ცსკა
„კოლოსი“ — „სპარტაკი“
„მეტალურგი“ — „გურია“
8 სექტემბერი, ოთხშაბათი
ცსკა — „მეტალურგი“
33-ე ტური
6 სექტემბერი, შაბათი
„ფაკელი“ — „ლოკომოტივი“
„ყუბანი“ — „კოტაიკი“
ასკ რ. — „დინამო“ სტ.
„ატლანტასი“ — „ისკრა“
„დაუგავა“ — „შინიკი“
ასკ „კარპატი“ — „მეტალურგი“
„ნისტრუ“ — „კოლოსი“
„გურია“ — „როსტსელმაში“
„სპარტაკი“ — „დინამო“ სტ.
34-ე ტური
9 სექტემბერი, სამშაბათი
„ყუბანი“ — „დინამო“ ბ.
ასკ რ. — „კოტაიკი“
„ატლანტასი“ — „შინიკი“
„დაუგავა“ — „ისკრა“
„ფახთაქორი“ — ასკ ხ.
„პამირი“ — „კუზბასი“
ასკ „კარპატი“ — „კოლოსი“
„ნისტრუ“ — „მეტალურგი“
„გურია“ — „დინამო“ სტ.
„სპარტაკი“ — „როსტსელმაში“
ცსკა — „როტორი“
30 სექტემბერი, შაბათი
„კუზბასი“ — ცსკა
35-ე ტური
16 სექტემბერი, სამშაბათი
„კუზბასი“ — „დაუგავა“
ასკ ხ. — „ატლანტასი“
„ისკრა“ — ასკ რ.
„შინიკი“ — „ყუბანი“
„კოტაიკი“ — „ლოკომოტივი“
„დინამო“ ბ. — „ფაკელი“
„როტორი“ — „გურია“
ცსკა — „სპარტაკი“
„როსტსელმაში“ — ასკ „კარპატი“
„დინამო“ სტ. — „ნისტრუ“
„კოლოსი“ — „ფახთაქორი“
„მეტალურგი“ — „პამირი“
36-ე ტური
19 სექტემბერი, პარასკევი
„კუზბასი“ — „ატლანტასი“
ასკ ხ. — „დაუგავა“
„ისკრა“ — „ყუბანი“
„შინიკი“ — ასკ რ.
„კოტაიკი“ — „ფაკელი“
„დინამო“ ბ. — „ლოკომოტივი“
„როტორი“ — „სპარტაკი“
ცსკა — „გურია“
„როსტსელმაში“ — „ნისტრუ“
„დინამო“ სტ. — ასკ „კარპატი“
„კოლოსი“ — „პამირი“
„მეტალურგი“ — „ფახთაქორი“
22 სექტემბერი, ორშაბათი
ცსკა — „კოლოსი“
37-ე ტური
25 სექტემბერი, ხუთშაბათი
„დინამო“ ბ. — „კოტაიკი“
„ლოკომოტივი“ — „ისკრა“
„ფაკელი“ — „შინიკი“
„ყუბანი“ — ასკ ხ.
ასკ რ. — „კუზბასი“
„ატლანტასი“ — „კოლოსი“
„დაუგავა“ — „მეტალურგი“
„ფახთაქორი“ — „როსტსელმაში“
„პამირი“ — „დინამო“ სტ.
ასკ „კარპატი“ — „როტორი“
„ნისტრუ“ — ცსკა
38-ე ტური
28 სექტემბერი, კვირა
„ლოკომოტივი“ — „შინიკი“
„ფაკელი“ — „ისკრა“
„ყუბანი“ — „კუზბასი“
ასკ რ. — ასკ ხ.
„ატლანტასი“ — „მეტალურგი“
„დაუგავა“ — „კოლოსი“
„ფახთაქორი“ — „დინამო“ სტ.
„პამირი“ — „როსტსელმაში“
ასკ „კარპატი“ — ცსკა
„ნისტრუ“ — „როტორი“
„სპარტაკი“ — „გურია“
2 ოქტომბერი, ხუთშაბათი
ცსკა — „ფახთაქორი“
39-ე ტური
5 ოქტომბერი, კვირა
„კუზბასი“ — „ლოკომოტივი“
ასკ ხ. — „ფაკელი“
„ისკრა“ — „კოტაიკი“
„შინიკი“ — „დინამო“ ბ.
„გურია“ — ასკ „კარპატი“
„სპარტაკი“ — „ნისტრუ“
„როტორი“ — „ფახთაქორი“
ცსკა — „პამირი“
„როსტსელმაში“ — „დაუგავა“
„დინამო“ სტ. — „ატლანტასი“
„კოლოსი“ — „ყუბანი“
„მეტალურგი“ — ასკ რ.
მე-40 ტური
8 ოქტომბერი, ოთხშაბათი
„კუზბასი“ — „ფაკელი“
ასკ ხ. — „ლოკომოტივი“
„ისკრა“ — „დინამო“ ბ.
„შინიკი“ — „კოტაიკი“
„გურია“ — „ნისტრუ“
„სპარტაკი“ — ასკ „კარპატი“
„როტორი“ — „პამირი“
„როსტსელმაში“ — „ატლანტასი“
„დინამო“ სტ. — „დაუგავა“
„კოლოსი“ — ასკ რ.
„მეტალურგი“ — „ყუბანი“
41-ე ტური
14 ოქტომბერი, სამშაბათი
„შინიკი“ — „ისკრა“
„კოტაიკი“ — „კუზბასი“
„დინამო“ ბ. — ასკ ხ.
„ლოკომოტივი“ — „კოლოსი“
„ფაკელი“ — „მეტალურგი“
„ყუბანი“ — „დინამო“ სტ.
ასკ რ. — „როსტსელმაში“
„ატლანტასი“ — „როტორი“
„ფახთაქორი“ — „გურია“
„პამირი“ — „სპარტაკი“
42-ე ტური
17 ოქტომბერი, პარასკევი
„კოტაიკი“ — ასკ ხ.
„დინამო“ ბ. — „კუზბასი“
„ლოკომოტივი“ — „მეტალურგი“
„ფაკელი“ — „კოლოსი“
„ყუბანი“ — „როსტსელმაში“
ასკ რ. — „დინამო“ სტ.
„ატლანტასი“ — ცსკა
„დაუგავა“ — „როტორი“
„ფახთაქორი“ — „სპარტაკი“
„პამირი“ — „გურია“
„ნისტრუ“ — ასკ „კარპატი“
20 ოქტომბერი, ორშაბათი
„დაუგავა“ — ცსკა
43-ე ტური
28 ოქტომბერი, ხუთშაბათი
„კუზბასი“ — „ისკრა“
ასკ ხ. — „შინიკი“
ასკ „კარპატი“ — „ფახთაქორი“
„ნისტრუ“ — „პამირი“
„გურია“ — „ატლანტასი“
„სპარტაკი“ — „დაუგავა“
„როტორი“ — ასკ რ.
ცსკა — „ყუბანი“
„როსტსელმაში“ — „ლოკომოტივი“
„დინამო“ სტ. — „ფაკელი“
„კოლოსი“ — „კოტაიკი“
„მეტალურგი“ — „დინამო“ ბ.
44-ე ტური
26 ოქტომბერი, კვირა
„კუზბასი“ — „შინიკი“
ასკ ხ. — „ისკრა“
ასკ „კარპატი“ — „პამირი“



სსრ კავშირის პირველობა

გათამაშების კალენდარი

II წრე

„როტორი“ — „სპარტაკი“
ცსკა — „გურია“
„როსტსელმაში“ — „ნისტრუ“
„დინამო“ სტ. — ასკ „კარპატი“
„კოლოსი“ — „პამირი“
„მეტალურგი“ — „ფახთაქორი“
22 სექტემბერი, ორშაბათი
ცსკა — „კოლოსი“
37-ე ტური
25 სექტემბერი, ხუთშაბათი
„დინამო“ ბ. — „კოტაიკი“
„ლოკომოტივი“ — „ისკრა“
„ფაკელი“ — „შინიკი“
„ყუბანი“ — ასკ ხ.
ასკ რ. — „კუზბასი“
„ატლანტასი“ — „კოლოსი“
„დაუგავა“ — „მეტალურგი“
„ფახთაქორი“ — „როსტსელმაში“
„პამირი“ — „დინამო“ სტ.
ასკ „კარპატი“ — „როტორი“
„ნისტრუ“ — ცსკა
38-ე ტური
28 სექტემბერი, კვირა
„ლოკომოტივი“ — „შინიკი“
„ფაკელი“ — „ისკრა“
„ყუბანი“ — „კუზბასი“
ასკ რ. — ასკ ხ.
„ატლანტასი“ — „მეტალურგი“
„დაუგავა“ — „კოლოსი“
„ფახთაქორი“ — „დინამო“ სტ.
„პამირი“ — „როსტსელმაში“
ასკ „კარპატი“ — ცსკა
„ნისტრუ“ — „როტორი“
„სპარტაკი“ — „გურია“
2 ოქტომბერი, ხუთშაბათი
ცსკა — „ფახთაქორი“
39-ე ტური
5 ოქტომბერი, კვირა
„კუზბასი“ — „ლოკომოტივი“
ასკ ხ. — „ფაკელი“
„ისკრა“ — „კოტაიკი“
„შინიკი“ — „დინამო“ ბ.
„გურია“ — ასკ „კარპატი“
„სპარტაკი“ — „ნისტრუ“
„როტორი“ — „ფახთაქორი“
ცსკა — „პამირი“
„როსტსელმაში“ — „დაუგავა“
„დინამო“ სტ. — „ატლანტასი“
„კოლოსი“ — „ყუბანი“
„მეტალურგი“ — ასკ რ.
8 ოქტომბერი, ოთხშაბათი
„კუზბასი“ — „ფაკელი“
ასკ ხ. — „ლოკომოტივი“
„ისკრა“ — „დინამო“ ბ.
„შინიკი“ — „კოტაიკი“
„გურია“ — „ნისტრუ“
„სპარტაკი“ — ასკ „კარპატი“
„როტორი“ — „პამირი“
„როსტსელმაში“ — „ატლანტასი“
„დინამო“ სტ. — „დაუგავა“
„კოლოსი“ — ასკ რ.
„მეტალურგი“ — „ყუბანი“
14 ოქტომბერი, სამშაბათი
„შინიკი“ — „ისკრა“
„კოტაიკი“ — „კუზბასი“
„დინამო“ ბ. — ასკ ხ.
„ლოკომოტივი“ — „კოლოსი“
„ფაკელი“ — „მეტალურგი“
„ნისტრუ“ — „ფახთაქორი“
„გურია“ — „დაუგავა“
„სპარტაკი“ — „ატლანტასი“
„როტორი“ — „ყუბანი“
„როსტსელმაში“ — „ფაკელი“
„დინამო“ სტ. — „ლოკომოტივი“
„კოლოსი“ — „დინამო“ ბ.
„მეტალურგი“ — „კოტაიკი“
45-ე ტური
2 ნოემბერი, კვირა
„კუზბასი“ — „ფახთაქორი“
ასკ ხ. — „პამირი“
„ისკრა“ — „კოლოსი“
„შინიკი“ — „მეტალურგი“
„კოტაიკი“ — „დინამო“ სტ.
„დინამო“ ბ.— „როსტსელმაში“
„ლოკომოტივი“ — ცსკა
„ფაკელი“ — „როტორი“
„ყუბანი“ — „სპარტაკი“
ასკ რ. — „გურია“
„ატლანტასი“ — ასკ „კარპატი“
„დაუგავა“ — „ნისტრუ“
46-ე ტური
5 ნოემბერი, ოთხშაბათი
„ისკრა“ — „მეტალურგი“
„შინიკი“ — „კოლოსი“
„კოტაიკი“ — „როსტსელმაში“
„დინამო“ ბ. — „დინამო“ სტ.
„ფაკელი“ — ცსკა
„ყუბანი“ — „გურია“
ასკ რ. — სპარტაკი“
„ატლანტასი“ — „ნისტრუ“
„დაუგავა“ — ასკ „კარპატი“
6 ნოემბერი, ხუთშაბათი
„კუზბასი“ — ასკ ხ.
„ლოკომოტივი“ — „როტორი“
„პამირი“ — „ფახთაქორი“
9 ნოემბერი, კვირა
ცსკა — ასკ რ.
47-ე ტური
12 ნოემბერი, ოთხშაბათი
„ფახთაქორი“ — „ატლანტასი“
„პამირი“ — „დაუგავა“
ასკ „კარპატი“ — ასკ რ.
„ნისტრუ“ — „ყუბანი“
„გურია“ — „ლოკომოტივი“
„სპარტაკი“ — „ფაკელი“
„როტორი“ — „დინამო“ ბ.
ცსკა — „კოტაიკი“
„როსტსელმაში“ — „ისკრა“
„დინამო“ სტ. — „შინიკი“
„კოლოსი“ — „კუზბასი“
„მეტალურგი“ — ასკ ხ.
48-ე ტური
15 ნოემბერი, შაბათი
„ფახთაქორი“ — „დაუგავა“
„პამირი“ — „ატლანტასი“
ასკ „კარპატი“ — „ყუბანი“
„ნისტრუ“ — ასკ რ.
„ფაკელი“ — „გურია“
„სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“
„როტორი“ — „კოტაიკი“
ცსკა — „დინამო“ ბ.
„როსტსელმაში“ — „შინიკი“
„დინამო“ სტ. — „ისკრა“
„კოლოსი“ — ასკ ხ.
„მეტალურგი“ — „კუზბასი“.

შენიშვნა: თამაშები ჩატარდება პირველად დასახელებულ გუნდების მინდვრებზე.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ IX ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

ᲕᲘᲜ ᲠᲐ ᲨᲔᲫᲚᲝ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ნგიზ თედორაძემ, რომელიც ევროპის ახალგაზრდულ პირველობაში გამოდის, გუნდს დაუსწრებლად 25 ქულა შესძინა. 100 კგ. გურამ შონია — VII ადგილი (11 ქულა), 130 კგ. ვასილ ქარსელაძე — II ადგილი (30 ქულა) და მათე სვანიძე — VIII ადგილი (9 ქულა).

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. რუსეთის ფედერაცია — 316 ქულა, 2. ბელორუსია — 250, 3. მოსკოვი — 218, 4. უკრაინა — 217, 5. სომხეთი — 172, 6. აზერბაიჯანი — 130, 7. საქართველო — 130 (აზერბაიჯანის გუნდს ერთით მეტი IV ადგილი ჰქონდა და მეექვსე ადგილიც სწორედ მას მიენიჭა).

სპარტაკიადის ჩემპიონები ხუთ წონით კატეგორიაში (პირველი ხუთეულის შესახებ წინა ნომერში ვიუწყებოდით) გახდნენ: 52 კგ. ალექსანდრე იგნატენკო (ომსკი), 62 კგ. კამალ მუსაევი (როსტოვი), 74 კგ. ალექსანდრე კონდრატსკი (კიევი), 90 კგ. ვლადიმერ ბოგუცკი (მინსკი) და 130 კგ. ალექსანდრე კარელინი (ნოვოსიბირსკი).

მედალი მესამე წონაშიც

კიევი. როგორც ვიუწყებოდით, ძიუდოისტთა სასპარტაკიადო ტურნირის მეორე დღეს მედლების კომპლექტი კიდევ ორ წონაში (86 და 78 კგ) გათამაშდა. 86 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს წარმომადგენელი არ გამოსულა (ამ დანაკლისს გუნდი სხვა წონაში აანაზღაურებს), 78 კგ კატეგორიაში კი ნაკრების ღირსებას გორელი ენგურ გოგიჩაშვილი იცავდა.

ჩვენი ძიუდოისტისთვის დებიუტი წარუმატებელი გამოდგა. რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელ ა. კუხარენკოსთან შეხვედრაში ბოლო წამებზე მას მხედველობიდან გამორჩა მეტოქის ილეთი, რის გამოც იუკოთი წაგება ჩაეთვალა (კუხარენკომ მომდევნო შეხვედრებიც მოიგო, ფინალში გავიდა და საბოლოოდ მეორე ადგილი დაისაკუთრა). ახლა ჩვენი ათლეტისთვის ყველაფერი სანუგეშო ჯგუფში უნდა გადაწყვეტილიყო. გოგიჩაშვილმა ორი შეხვედრა მოიგო, თანაც ორივე წმინდად (თურქმენეთის წარმომადგენელ რ. ნარტიკოვთან და მოლდაველ ა. პოპოვთან) და ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა. ეს ბრძოლა მეტად მძაფრი და შეუპოვარი გამოდგა, ვინაიდან რუსეთის ფედერაციის გუნდის წევრი ვ. ბელაუკინი დაახლოებით იგივე ამოცანას ისახავდა მიზნად.

ამჯერად გოგიჩაშვილი პირველი შეხვედრის მწარე მაგალითით გამოფხიზლებული უფრო აქტიურად იბრძოდა. მსაჯებმაც გამარჯვება მას მიანიჭეს ერთხმად.

ჩემპიონი აღნიშნულ წონაში ვ. ვარაევი (რსფსრ) გახდა. მეორე ადგილი უკვე ჩვენთვის ნაცნობმა ა. კუხარენკომ დაიკავა. ბრინჯაოს მედლები კი გოგიჩაშვილმა და რ. აგამიროვმა (აზერბაიჯანი) მიიღეს.

გუშინ ასპარეზობაში ჩაებნენ 71 და 65 კგ. წონითი კატეგორიის ძიუდოისტები. პირველ წონაში საქართველო ორი მოჭიდავით (ლ. ნაკანი, ბ. ჯიქური) იყო წარმოდგენილი, მეორეში კი ჩვენს რესპუბლიკას მონაწილე არ გამოუყვანია (სამაგიეროდ აბსოლუტურ კატეგორიაში გამოვა ორი სპორტსმენი — ა. კიბორძალიძე და ნ. დავითაშვილი).

გუნდურ ჩათვლაში ჯერჯერობით რუსეთის ფედერაციის, საქართველოსა და უკრაინის ძიუდოისტები პირველობენ.

21/3 ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ IX ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ. ᲫᲘᲣᲓᲝ. ᲙᲘᲔᲕᲘ. 24 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ.

ᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲐ (95 კგ ზემოთ) 1. ა. გუბელაძე (საქართველო), 2. ს. სავჩენკო (უკრაინა), 3. გ. იარემენკო (უკრაინა) და რ. ვასკელა (ლიტვა).

ᲥᲕᲔᲛᲫᲘᲛᲔ (95 კგ). 1. კ. კურტანიძე (საქართველო), 2. ა. პოპოვი (მოსკოვი), 3. დ. სოლოვიოვი (უზბეკეთი) და ე. დოლინინი (ბელორუსია).

ᲔᲚᲕᲐ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ლერი ნაკანმა (65 კგ) წარმატებით განვლო პირველი სამი წრე. ერთნაირი ანგარიშით 10:0 დაამარცხა მეტოქეები, შემდეგ კი მახრჩობელა ილეთით წააგო მეოთხე შეხვედრა და მესამე ადგილისთვის შეხვდა თანაგუნდელ ბათუ ჯიქურს. გაიმარჯვა ნაკანმა. ჯიქურმა თავის მხრივ მესამე წრის შეხვედრა წააგო, ნაკანს კი მეხუთე წრეში შეხვდა.

გუნდურ ჩათვლაში კვლავ რუსეთის ფედერაციის კოლექტივი ლიდერობს, შემდეგ მოდიან საქართველოსა და უკრაინის კოლექტივები.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ—ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲙᲘᲔᲕᲘ. ხელბურთელ ვაჟთა სასპარტაკიადო ტურნირის პირველი ჯგუფის მონაწილენი (უკრაინა, საქართველო, ყირგიზეთი და თურქმენეთი) უკრაინის დედაქალაქში ასპარეზობენ. ფინალურ ტურნირში თამაშის უფლება, როგორც ცნობილია, ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გასულ კოლექტივებს ეძლევათ.

ობიექტურად ჩვენს სპორტსმენებს ფინალში მონაწილეობის კარგი შანსები აქვთ. ოღონდ ორ მეტოქეს ყირგიზეთსა და თურქმენეთს უსათუოდ უნდა მოუგონ.

ეს ამოცანა საქართველოს ხელბურთელებმა ნაწილობრივ გადაჭრეს კიდეც. შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში ყირგიზეთის გუნდი ანგარიშით 28:20 დაამარცხეს.

გუშინ ჩვენი ხელბურთელები უკრაინელებთან თამაშობდნენ, დღეს კი თურქმენეთის კოლექტივს შეხვდებიან.

საქართველოს ხელბურთელ ქალთა გუნდი მეორე შესარჩევი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ბაქოში ასპარეზობს. აქ ჩვენი სპორტსმენების გარდა ფინალის საგზურებისთვის აზერბაიჯანის, აზერბაიჯანისა და ლატვიის წარმომადგენლები იბრძვიან.

ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲘᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲭᲔᲠᲩᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲐᲚᲙᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ „ᲡᲘᲭᲐᲑᲣᲙᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ“ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ. ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲗᲣᲠᲥᲛᲔᲜᲔᲗᲘᲡ, ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ, ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ, ᲚᲘᲢᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ. ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ 2 ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲔᲑᲘ ᲬᲠᲘᲚᲘᲡᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲗ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲓᲜᲔᲜ.

პირველ მატჩში საქართველოს გუნდის მეტოქე ბელორუსიის ნაკრები იყო. თამაში ქართველ ფეხბურთელთა შეტევებით დაიწყო და პირველ წუთებზევე ბურთი ორჯერ მოხვდა ბელორუსიელთა კარის ძელს. ბელორუსიელთა მცველებისა და მეტოქეთა მეკარის კარგმა თამაშმა სამხრეთელებს პირველ ტაიმში გოლის გატანის საშუალება არ მისცა. ანგარიში მხოლოდ 51-ე წუთზე გაიხსნა, როცა გვასალიამ ზუსტი თავური დარტყმით აიღო ბელორუსელთა კარი. 4 წუთის შემდეგ წონასწორობა აღდგა — საპასუხო გოლი უმეთვალყურეოდ დარჩენილმა კარპენკომ გაიტანა და მატჩიც ფრედ დამთავრდა — 1:1.

ამის შემდეგ საქართველოს ფეხბურთელებმა ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვეს. დამარცხეს თურქმენეთის (2:0), ლენინგრადისა (1:0) და ლატვიის (3:0) კოლექტივები. ამით ქართველმა ფეხბურთელებმა ფინალის ერთ-ერთი საგზური გაინაღდეს, მაგრამ წინ იყო ბრძოლა პირველი ადგილისთვის.

ბოლო ტურში საქართველოს ნაკრები ლიტვის გუნდს შეხვდა. ლიტველებმა პირველ ტაიმში შეძლეს საკუთარი კარის დაცვა (0:0), მატჩის მეორე ნახევარში ისინი უძლურნი აღმოჩნდნენ, ანგარიში ტუღუშის გადაცემის შემდეგ გახსნა ჯანჯალაშვილმა. შემდეგ თავად ტუღუშმა გამოიჩინა თავი, როცა კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი მეტოქის კარში გაგზავნა, საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე კი გვასალიამ მესამედ აიღო ლიტველთა კარი — 3:0.

ამ გამარჯვებით ქართველმა ჭაბუკებმა პირველი ადგილი მოიპოვეს. ბოლო მატჩში საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო: დევაძე (მაჭავარიანი), დიმიტრიშვილი, ფირცხალაიშვილი, ჯაფარიძე, ჩხაბურიძე (იობიძე), ბერიშვილი, ნემსაძე, ნადარეიშვილი, მარღიშვილი (ჯანჯალაშვილი), მეგრელ (გვასალია, 44), ტუღუში. მწვრთ ლები: უფროსი მწვრთნელი, რ ბლიკის დამსახურებული მწვრთ ლი ომარ უშვერიძე და მწვრთ ლები — რევაზ გაგუა და გუ შავდია.

საქართველოს ნაკრები ძირ დად დაკომპლექტებული იყო თ ლისის 35-ე სპეციალიზებული ს ლისა და „დინამოს“ ჭაბუკ ბურთელებით, მათ გარდა მიიწ ქუთაისელი, ბათუმელი, გორ და ლანჩხუთელი ფეხბურთელ ქერჩში ჩატარებულ მატჩებში ქართველოს ფეხბურთელები ორჩეულნენ მაღალი ტექნ მათ გამოავლინეს კარგი ფიზ რი და ტაქტიკური მომზად ბრძოლისუნარიანობა, გამოავ რამდენიმე მოთამაშეს, ვინც ლაზე მეტი ყურადღება მიიპ ბერიშვილი, ტუღუში, ფირცხ იშვილი, დიმიტრიშვილი, მათ სხვა თანაგუნდელები ჩამორჩ დნენ.

Თ. ᲙᲠᲐᲕᲩᲔᲜᲚᲘ
ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲡᲯᲐᲠᲘ, ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲘᲡ ᲐᲠᲑᲘᲢ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲕᲐᲡᲙᲕᲚᲐᲕᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ მაშინ, როცა მექსიკაში მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი მიმდინარეობდა, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 27 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ პასადენაში (ლოსანჯელესის შტატი) გაიმართებოდა ამხანაგური საერთაშორი მატჩი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა მონაწილეობით. აი, ეს 27 ივლისიც დადგა, ყველანი დიდი ინტერესით მოველით ცნობებს პასადინადან, სადაც ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ამერიკა — „დანარჩენი სამყარო“. ამ საფეხბურთო მატჩის მთელი შემოსავალი გადაეცემა იუნისეფ-ის ბავშვთა ფონდს, საქველმოქმედო მატჩი ეძღვნება ამ ორგანიზაციის შექმნის 40 წლისთავს.

მაშინ მეხიკოში გაიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრესკონფერენცია, სადაც ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი ამ უნიკალური მატჩის დიდ მნიშვნელობას, მისი აზრით, შემოსავალმა 400 ათას დოლარს უნდა მიაღწიოს, ეს კი დიდი დახმარებაა მიწისძვრიდან დაზარალებული მექსიკელი ბავშვებისთვის. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკის ნაკრებს უხელმძღვანელებენ არგენტინის ნაკრების მწვრთნელი კ. ბილარდო და მექსიკის ნაკრების მწვრთნელი ბ. მილუტინოვიჩი. ხოლო ე. წ. „დანარჩენი სამყაროს“ გუნდს სათავეში ჩუდგებიან ფ. ბეკენბაუერი (გფრ) და ი. კრუიფი (ჰოლანდია).

კორესპონდენტებს ამ პრესკონფერენციაზე შეატყობინეს მომავალი შეხვედრის მონაწილეთა საორიენტაციო შემადგენლობანი, საორიენტაციო იმიტომ, რომ ორივე გუნდში აუცილებლად მოხდებოდა ცვლილებები.

გუნდების მწვრთნელები ასახელებდნენ რამდენიმე ფეხბურთელს, ამასთან, იქვე დასძენდნენ... „და სხვები“.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ასეთი რეკომენდაცია მისცა 27 ივლისის მატჩის მონაწილე გუნდებს:

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ: ფერნანდესი (პარაგვაი), სეზარი (ბრაზილია), პასარელა (არგენტინა), კირარტე (მექსიკა), მარადონა (არგენტინა), კარეკა (ბრაზილია), ნეგრეტე (მექსიკა), კალიგიური (აშშ), სანჩესი (მექსიკა), ვალდანო (არგენტინა), ზიკო (ბრაზილია), რომერო (პარაგვაი).

„ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ“ ჯენინგსი (ჩრდილოეთი ირლანდია), ბრიგელი (გფრ), კაბრინი (იტალია), ოლსენი (დანია), პლატინი (საფრანგეთი), ლერბუ (დანია), პაკ ჩან სუ (სამხრეთ კორეა), კონტი (იტალია), ბუტრაგენიო (ესპანეთი), ლინეკერი (ინგლისი), მიმუნი (მაროკო), რუმენიგე (გფრ).

შეიძლება, ეს სარეკომენდაციო სია რაღაც ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა ორივე გუნდის მწვრთნელებისათვის, ცვლილებები, რა თქმა უნდა მოხდებოდა, მაგრამ ისიც საინტერესოა, რომ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა საგენტოებმა შეადგინა მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები გუნდები, აქ შეყვანილი ზოგიერთი ფეხბურთელი კი დღევანდელი მატჩის მონაწილეთა სიაში საერთოდ არ იმყოფება.

სიმბოლური ნაკრების ერთ-ერთი ვარიანტი მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ასეთი იყო: შუმახერი (გფრ), ჟოსიმარი (ბრაზილია), სეზარი (ბრაზილია), ბოსი (საფრანგეთი), ამორო (საფრანგეთი), ფერნანდესი (საფრანგეთი), მარადონა (არგენტინა), კულემანსი (ბელგია), კარეკა (ბრაზილია), ბელანოვი (სსრ კავშირი), ლუდრუპი (დანია).

შეადარეთ ეს შემადგენლობა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სარეკომენდაციო სიას და ადვილად შეამჩნევთ საგრძნობ განსხვავებას.

იუპი-ს სააგენტოს სიმბოლური ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ასეთი იყო: შუმახერი (გფრ), ჟოსიმარი (ბრაზილია), სეზარი (ბრაზილია), ბოსი (საფრანგეთი), ამორო (საფრანგეთი), მარადონა (არგენტინა), ფერნანდესი (საფრანგეთი), მათეუსი (გფრ), ელკიერი (დანია), ბუტრაგენიო (ესპანეთი), ლინეკერი (ინგლისი).

განსხვავება აქაც საგრძნობია. მაგრამ თავი და თავი ისაა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ აღთქმული მატჩი მითი არ იყო, დღეს პასადინაში შედგება მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავთა მატჩი, იგი კი, უდავოდ, საყოველთაო ინტერესს იწვევს. როგორც ვიუწყებოდით პასადინას მატჩში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა კავშირიდან მიიწვიეს მეკარე რინატ დასაევი („სპარტაკი“, მოსკოვი) და თავდამსხმელი იგორ ბელანოვი („დინამო“, კიევი).

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ამერიკის ქალაქი ჰიუსტონი სპორტის მინიფესტივალის ჩატარებას აპირებს. შეჯიბრებები გაიმართება სპორტის იმ სამ სახეობაში, რომლებიც ქალაქის მკვიდრთა შორის მეტი პოპულარობით სარგებლობენ. ეს სახეობებია: ფიგურული ცურვა, ველოსპორტი და კრივი.

ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ჰიუსტონში, ტრადიციულად, სხვა ქვეყნების სპორტსმენებიც ჩადიან.

ᲗᲘᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲕᲚᲐᲐ

ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ
ᲝᲗᲐᲠ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ
1965 Წ.



ᲨᲐᲛᲐᲗᲘ ᲠᲕᲐ ᲡᲕᲚᲐᲨᲘ

„ლელოს“ 20 ივლისის ნომერ გამოქვეყნებული ლ. ტოპკოს (ს რაინა) ეტიუდი ასე ამოიხსნ 1. ᲛᲔ2+ ᲛᲤᲓ1 (1. ...ᲛᲤᲑ1 2. ᲔᲐ ᲔᲐ2 3. ᲛᲒ3+ და 4. Მ:Ა2 ᲛᲝᲒ 2. ᲛᲓ4+ ᲛᲤᲒ1 3. ᲛᲑ3+ ᲛᲤᲑ1 ᲙᲒ7 ᲔᲐ2 5. ᲙᲒ6+ ᲔᲒ2 6. Კ:Გ2 ᲛᲤᲐ2 7. ᲛᲒ1+ ᲛᲤᲐ1 8. ᲙᲰ7 Ა2 ᲛᲑ3 X.

ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. ... **ივლისი.** რიტმული ტანვარჯიში — **9.40 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.20 (1);** ჩოგბურთი. „ფედერაციის თასი“ — მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ქალთა შორის. ნახევარფინალი — **15.05 (2);** სამ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ფეხბურთელთა ტურნირის ფინალი — **19.00 (2);** კვირის სპორტი — **0.10 (1).**

28 ივლისი. დილის ტანვარჯიში **9.00 (2);** მსოფლიო ჩემპიონატის ფარიკაობაში — **14.20 (2);** ჩოგბურთი. „ფედერაციის თასი“ — მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი ქალთა შორის. ფინალი. **19.15 (1)** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩი — **0.10 (1);**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. ... **ივლისი.** ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის. ცურვა — **12.00.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ. 27 ... **ივლისი.** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30.**

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓ�გᲘᲚᲘ
Თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ᲚᲔᲚᲝ“

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვა“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორ... დენონსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 07...